

სისხლის სამართლის ultima ratio პრინციპი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა: ტექნიკური მოწესრიგება, პროპორციულობა და დეკრიმინალიზაცია

თათია დოლიძე

აფილირებული პროფესორი

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის (GIU)

tatuli.dolidze@giu.edu.ge

გიორგი ცაციაშვილი

სამართლის მაგისტრი

Giorgitsatsiashvili1979@gmail.com

<https://doi.org/10.61950/giu.4.2026.12121>

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის აუცილებლობის შეფასებას ultima ratio პრინციპის ჭრილში. სისხლის სამართალი, როგორც სახელმწიფოს ყველაზე მკაცრი სამართლებრივი რეაგირების მექანიზმი, გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართლებრივი სიკეთის დაცვა სხვა, ნაკლებად მკაცრი საშუალებებით — ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან დისციპლინური პასუხისმგებლობით — ეფექტიანად ვერ მიიღწევა. აღნიშნული პრინციპის უგულებელყოფა იწვევს სისხლის სამართლის სფეროს არაგონივრულ გაფართოებას, ნორმათა გადატვირთვას, პასუხისმგებლობის არაპროპორციულობასა და ისეთი ქმედებების კრიმინალიზაციას, რომელთა საზოგადოებრივი საშიშროება არ ამართლებს სისხლის სამართლებრივ ჩარევას.

კვლევის მიზანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი პრობლემების გამოვლენა და რეფორმის ძირითადი მიმართულებების დასაბუთება. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კოდექსის სისტემურობას, ნორმათა სიზუსტეს, ტერმინოლოგიურ ერთგვაროვნებას, სანქციათა პროპორციულობასა და იმ დაბალი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე ქმედებების იდენტიფიცირებას, რომლებიც შესაძლებელია დაექვემდებაროს დეკრიმინალიზაციას ან გადატანილ იქნეს სხვა სამართლებრივ რეჟიმში. კვლევა ხაზს უსვამს, რომ კოდექსის რეფორმა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ტექნიკური რედაქტირებით; საჭიროა სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის შინაარსობრივი გადახედვა, რათა სისხლის სამართალი დარჩეს უკიდურეს, გამონაკლის და პროპორციულ რეაგირებად.

ნაშრომში გაანალიზებულია ზედმეტი კრიმინალიზაციის საფრთხეები, მათ შორის სამართალდამცავი და სასამართლო სისტემის რესურსების არაეფექტიანი გამოყენება, პირის უფლებებში არაპროპორციული ჩარევა და სისხლის სამართლის პრევენციული ფუნქციის შესუსტება. კვლევის ფარგლებში პროპორციულობის პრინციპი განიხილება როგორც ქმედების დანაშაულად გამოცხადების, ისე სასჯელის განსაზღვრის ეტაპზე.

დასკვნის სახით ნაშრომი ასაბუთებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა უნდა დაეფუძნოს სამ ძირითად მიმართულებას: ნორმების ტექნიკურ-სისტემურ

მოწესრიგებას, პასუხისმგებლობისა და სანქციების პროპორციულობის უზრუნველყოფას და დაბალი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე ქმედებების დეკრიმინალიზაციას. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს უფრო სამართლიანი, ეფექტიანი და თანამედროვე სისხლისსამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: ultima ratio; სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა; პროპორციულობა; დეკრიმინალიზაცია; ზედმეტი კრიმინალიზაცია; სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა.

1. შესავალი

სისხლის სამართალი სახელმწიფოს იძულებითი ძალაუფლების ყველაზე მკაცრი ფორმაა. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ სასჯელის დაკისრებით: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იწვევს პირის სტიგმატიზაციას, ნასამართლობას, სოციალური და პროფესიული შესაძლებლობების შეზღუდვას და, ცალკეულ შემთხვევებში, თავისუფლების აღკვეთას. ამიტომ დემოკრატიულ სახელმწიფოში სისხლის სამართალი უნდა დაეფუძნოს მკაცრ კონსტიტუციურ, დოგმატურ და პოლიტიკურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლი ადგენს, რომ კოდექსი განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, დანაშაულებრივ ქმედებებსა და შესაბამის სასჯელებს; ამავე მუხლით კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.¹

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ultima ratio პრინციპი. მისი პრაქტიკული დანიშნულებაა სისხლის სამართლის საზღვრების დადგენა: დანაშაულად უნდა გამოცხადდეს მხოლოდ ის ქმედება, რომელიც აზიანებს ან რეალურ საფრთხეს უქმნის მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს და რომლის წინააღმდეგ სხვა, ნაკლებად მკაცრი სამართლებრივი მექანიზმები არასაკმარისია. ზედმეტი კრიმინალიზაციის კრიტიკისას დუგლას ჰუსაკი მიუთითებს, რომ კრიმინალიზაციის თეორია საჭიროა არა მხოლოდ ახალი აკრძალვების დასასაბუთებლად, არამედ იმის გასარკვევად, რომელი ქმედებები უნდა დარჩეს სისხლის სამართლის მიღმა.²

კვლევის აქტუალობა განპირობებულია სამი გარემოებით: პირველი, კოდექსი მრავალი ცვლილების შედეგად შეიცავდა ნორმათა სიმრავლის, დუბლირების, ბუნდოვანი ტერმინებისა და არათანაბარი სანქციების რისკს; მეორე, სისხლის სამართლის პოლიტიკაში ხშირია სწრაფი და ემოციური საკანონმდებლო რეაქცია, რომელიც ყოველთვის არ ამოწმებს ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობას; მესამე, ხელოვნური ინტელექტი ქმნის ახალ საფრთხეებს, თუმცა მათი მოწესრიგება ავტომატურად არ უნდა ნიშნავდეს ახალი დანაშაულების დამატებას. ნაშრომის მიზანია ultima ratio პრინციპის საფუძველზე შეფასდეს კოდექსის ტექნიკური მოწესრიგების, პროპორციული სანქციების, დეკრიმინალიზაციისა და AI-თან დაკავშირებული რისკების რეგულირების ძირითადი მიმართულებები. კვლევის

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 1, სსმ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>.

² Husak, D. (2008). *Overcriminalization: The Limits of the Criminal Law*. Oxford University Press, pp. 3-4.

მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დოგმატურ-სამართლებრივი, ნორმატიული, სისტემური, შედარებით-სამართლებრივი და ანალიტიკური მეთოდები.

2. სამართლებრივი განსაზღვრულობა და ბუნდოვანი ტერმინები

სისხლის სამართლის ნორმა უნდა იყოს მაქსიმალურად მკაფიო და წინასწარ განჭვრეტადი. კანონიერების პრინციპი - *nullum crimen, nulla poena sine lege* - მოითხოვს, რომ პირმა წინასწარ შეძლოს საკუთარი ქცევის სამართლებრივი შედეგების გონივრულად შეფასება. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს როგორც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტიდან, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლიდან.³ ევროპული სასამართლოს პრაქტიკა კანონიერებას უკავშირებს კანონის ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობას; პირი, საჭიროების შემთხვევაში პროფესიული კონსულტაციის დახმარებით, უნდა ხვდებოდეს, რომელი ქცევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.⁴

განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის შეფასებითი ტერმინები. მაგალითად როგორიც არის, „მძიმე შედეგი“. ერთი მხრივ, ისინი აუცილებელია, რადგან სისხლის სამართალი ვერ იქნება მთლიანად კაზუსტური და ვერ აღწერს ყველა შესაძლო ფაქტობრივ სიტუაციას. მეორე მხრივ, თუ ასეთი ცნებები არ არის განმარტებული კანონით ან სტაბილური სასამართლო პრაქტიკით, იზრდება თვითნებური და არათანაბარი სამართალშეფარდების საფრთხე. ბუნდოვანი დისპოზიცია სისხლის სამართალში განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან იგი პირდაპირ ეხება პირის თავისუფლებას, რეპუტაციასა და სამართლებრივ სტატუსს.

რეფორმის ფარგლებში შეფასებითი ტერმინები უნდა დაექვემდებაროს სისტემურ აუდიტს. იქ, სადაც შეფასებითი ცნება დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია, კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს მინიმალური ობიექტური კრიტერიუმები: ზიანის მასშტაბი, დაზარალებულთა რაოდენობა, შედეგის შეუქცევადობა, სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა, ქმედების ხანგრძლივობა, საჯარო ინტერესის დაზიანების ხარისხი ან ქმედების სისტემურობა. ამგვარი მიდგომა არ აუქმებს შეფასებით ტერმინებს, მაგრამ ზღუდავს მათ თვითნებურ გამოყენებას და აძლიერებს სამართლებრივ განსაზღვრულობას.

3. სანქციური ჰარმონიზაცია და AI-ზე დაფუძნებული სანქციური აუდიტი

კოდექსის სანქციები უნდა შემოწმდეს ერთიანი მატრიცით. რეფორმის მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ ცალკეული მუხლების იზოლირებული ცვლილება; აუცილებელია კოდექსის შიდა შედარება, რათა დადგინდეს, რამდენად თანაზომიერია სხვადასხვა დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელები ერთმანეთთან მიმართებით. მსგავსი სიმძიმის ქმედებებს უნდა ჰქონდეთ შედარებით თანაზომადი სანქციები, ხოლო უფრო მძიმე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა უფრო მკაცრ რეაგირებას უნდა იწვევდეს. ინგლისისა და უელსის სანქციების

³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31(9), სსმ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 7.

⁴ ECtHR, *Kokkinakis v. Greece*, no. 14307/88, 25.05.1993; ECtHR, *Cantoni v. France*, no. 17862/91, 15.11.1996.

მოდელში დანაშაულის სერიოზულობა ფასდება, მათ შორის, ზიანისა და ბრალეულობის კრიტერიუმებით, რაც სასარგებლო შედარებით ჩარჩოს ქმნის.⁵

სანქციური მატრიცა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ბლოკებს: სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა; მიყენებული ან მოსალოდნელი ზიანი; ქმედების საფრთხე; ბრალეულობის ფორმა და ინტენსივობა; განმეორებითობა; ორგანიზებულობა; პროფესიული ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; დაზარალებულის მოწყვლადობა; დაზარალებულ პირთა რაოდენობა; ალტერნატიული, ნაკლებად მკაცრი რეაგირების შესაძლებლობა. ასეთი მატრიცა ხელს შეუწყობს იმის გამოვლენას, ხომ არ ისჯება ნაკლები საფრთხის მქონე ქმედება უფრო მკაცრად, ვიდრე არსებითად მძიმე ხელყოფა.

თანამედროვე პირობებში სანქციური მატრიცის შექმნისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელოვნური ინტელექტი, მაგრამ მხოლოდ როგორც დამხმარე ანალიტიკური ინსტრუმენტი. AI-ს შეუძლია კოდექსის თითოეული მუხლისთვის შექმნას პროფილი: დაცული სამართლებრივი სიკეთე, ქმედების ფორმა, ბრალეულობა, მინიმალური და მაქსიმალური სანქცია, დამამძიმებელი გარემოებები, სასამართლო პრაქტიკაში რეალურად გამოყენებული სასჯელები და სხვა მსგავს დანაშაულებთან შედარება. ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დისბალანსის, დუბლირების, ზედმეტად მკაცრი ან პრაქტიკაში გამოუყენებელი სანქციების გამოვლენა. თუმცა AI არ უნდა იქცეს სანქციის ავტომატურ განმსაზღვრელად: სისხლის სამართლის სფეროში საბოლოო გადაწყვეტილება ყოველთვის საჭიროებს ადამიანის, კანონმდებლისა და სასამართლოს ნორმატიულ შეფასებას.

4. დეკრიმინალიზაცია და ფიქსირებული თანხობრივი ზღვრები

დეკრიმინალიზაცია არ ნიშნავს სამართლებრივი ვაკუუმის შექმნას. იგი გულისხმობს კონკრეტული ქმედების გადატანას ნაკლებად მკაცრ რეჟიმში - ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, დისციპლინურ ან სპეციალურ რეგულაციურ ჩარჩოში. დეკრიმინალიზაცია გამართლებულია მაშინ, როდესაც ქმედება არ არის ძალადობრივი, არ იწვევს მაღალი ხარისხის საზოგადოებრივ საფრთხეს, ზიანი კომპენსირებადია და დაზარალებულის დაცვა შესაძლებელია სხვა სამართლებრივი მექანიზმით. ამ მიზნით მიზანშეწონილია „დეკრიმინალიზაციის ტესტის“ შემუშავება, რომელიც შეაფასებს სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობას, ზიანის ხარისხს, ალტერნატიული პასუხისმგებლობის ეფექტიანობას, ნასამართლობის სოციალურ შედეგს და გამოძიება-სასამართლოს რესურსის პროპორციულობას.

ამ ტესტისთვის მნიშვნელოვანი მაგალითია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლი - სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანება ან განადგურება, თუ ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. კოდექსის შესაბამისი თავის შენიშვნის მიხედვით, მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის ან ნივთების ღირებულება 150 ლარის ზევით.⁶ ეს ნიშნავს, რომ 151 ლარის ღირებულების ნივთის შემთხვევით დაზიანებაც ფორმალურად შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი შეფასების საგანი, თუ დადგინდება

⁵ Sentencing Council for England and Wales, *General Guideline: Overarching Principles*, "Seriousness".

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 188 და შესაბამისი თავის შენიშვნა მნიშვნელოვანი ზიანის შესახებ.

გაუფრთხილებლობა და მიზეზობრივი კავშირი. ასეთი შედეგი საეჭვოა ultima ratio პრინციპთან მიმართებით: დაზარალებულის რეალური ინტერესი, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურებით მიიღწევა, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა იწვევს არაპროპორციულ სტიგმას და ნასამართლობის რისკს.

ფინანსურ-ეკონომიკური რეალობის ცვლილების ფონზე პრობლემურია ფიქსირებული თანხობრივი ზღვრების სტატიკურობაც. 150 ლარი ან 100 000 ლარი სხვადასხვა წლებში ერთსა და იმავე ეკონომიკურ მნიშვნელობას არ ატარებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014-2025 წლებში სამომხმარებლო ფასების ინდექსი არაერთხელ გაიზარდა, მათ შორის 2021 წელს 109.6 და 2022 წელს 111.9 წლიური საშუალო მაჩვენებლებით.⁷ შესაბამისად, ის ზღვრები, რომლებიც წარსულში შესაძლოა რელევანტური იყო, დღეს შეიძლება ზედმეტად დაბალი აღმოჩნდეს. მსგავსი გადამოწმება საჭიროა 218-ე მუხლზეც, რომელიც გადასახადისათვის თავის არიდებას უკავშირებს დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდებას; მოქმედი ზღვრები რეგულარულად უნდა შეფასდეს ბიზნესბრუნვების, ინფლაციისა და სახელმწიფოს ფისკალური ინტერესის რეალური დაზიანების ფონზე.⁸

რეფორმისთვის შესაძლებელი მოდელებია: ფიქსირებული ზღვრის არსებითი გაზრდა; ინდექსაციის მექანიზმი, რომლითაც თანხობრივი ნიშნულები პერიოდულად გადაიხედება; ან შერეული მოდელი, სადაც თანხას ემატება თვისებრივი კრიტერიუმები - განზრახვა, სისტემურობა, განმეორებითობა, ორგანიზებულობა, დაზარალებულის მოწყვლადობა და საჯარო ინტერესის არსებითი დაზიანება. ყველაზე დაბალანსებული სწორედ შერეული მოდელია, რადგან მხოლოდ თანხა ყოველთვის ვერ განსაზღვრავს ქმედების სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას.

5. კოდექსის ტექნიკური გამარტივება და მუხლების დაჯგუფება

კოდექსის ტექნიკური მოწესრიგების ნაწილი შეიძლება იყოს ისეთი მუხლების გაერთიანება ან ერთიან ჯგუფებად ორგანიზება, რომლებიც იცავენ ერთსა და იმავე სამართლებრივ სიკეთეს, ხოლო ერთმანეთისგან განსხვავდებიან მხოლოდ შემამსუბუქებელი, დამამძიმებელი ან სპეციალური გარემოებებით. ასეთი მიდგომა ამცირებს ნორმათა დუბლირებას, აძლიერებს კვალიფიკაციის გამჭვირვალობას და ხელს უწყობს სანქციური სისტემის თანმიმდევრულობას.

საინტერესო მაგალითია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავი. მოქმედ კოდექსში დამოუკიდებელ მუხლებად არის გამოყოფილი განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით და დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა. ყველა ეს შემადგენლობა ეხება ერთსა და იმავე უმაღლეს სამართლებრივ სიკეთეს - ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა პასუხისმგებლობა მცირდება განსხვავებული შემამსუბუქებელი საფუძვლით: ემოციური მდგომარეობა, თავდაცვის

⁷ National Statistics Office of Georgia (Geostat), *Consumer Price Index (Inflation)*, Annual Average to Annual Average, 2014-2025.

⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 218, გადასახადისათვის თავის არიდება.

ფარგლების გადაცილება, შეპყრობის ლეგიტიმური მიზნის გადაჭარბება ან განსაკუთრებული ბიო-სოციალური მდგომარეობა.⁹

შესაბამისად, შეიძლება განიხილებოდეს ერთიანი მუხლის მოდელი - „მკვლელობა შემამსუბუქებელ გარემოებებში“, სადაც თითოეული შემთხვევა ცალკე ნაწილად ჩამოყალიბდება. ეს არ გააუქმებს შემადგენლობების დოგმატურ სპეციფიკას, მაგრამ მათ მოაქცევს ერთიან კონცეპტუალურ ჩარჩოში. ამავდროულად, ასეთი გაერთიანება სიფრთხილეს მოითხოვს: ტექნიკური გამარტივების სახელით არ უნდა დაიკარგოს თითოეული ქმედების განსხვავებული სამართლებრივი არსი. AI-ზე დაფუძნებული ტექსტობრივი ანალიზი შეიძლება დაეხმაროს კანონმდებელს მსგავსი, განმეორებადი დისპოზიციების აღმოჩენაში, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს სისხლისსამართლებრივ დოგმატიკასა და კონსტიტუციურ შეფასებას.

6. AI-ის რეგულირება სისხლის სამართლის კოდექსში

ხელოვნური ინტელექტის განვითარება სისხლის სამართლის წინაშე ახალ გამოწვევებს აყენებს. AI-ს შეუძლია ხმის, გამოსახულების, ვიდეოს, დოკუმენტის, იდენტობისა და ქცევითი პროფილის ისეთი სიმულაცია, რომელიც ტრადიციული შემადგენლობებით ყოველთვის სრულად არ ფარავს ახალ საფრთხეებს. თუმცა AI-თან დაკავშირებული ყოველი რისკი არ უნდა იქცეს ახალ დანაშაულად. ევროკავშირის AI Act-ი ხელოვნური ინტელექტის რეგულირებას რისკზე დაფუძნებული მოდელით უდგება და მიზნად ისახავს უსაფრთხო, ფუნდამენტურ უფლებებთან შესაბამის და ადამიანზე ორიენტირებულ AI-ს.¹⁰ ევროპის საბჭოს 2024 წლის ჩარჩო კონვენციაც ხაზს უსვამს, რომ AI სისტემების მთელი სასიცოცხლო ციკლი უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებებს, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას.¹¹

საქართველოსთვის მიზანშეწონილია შერეული მოდელი. პირველი, დამოუკიდებელ დანაშაულად შეიძლება განიხილებოდეს პირის თანხმობის გარეშე სინთეზური ინტიმური გამოსახულების შექმნა, გავრცელება ან გავრცელების მუქარა, როდესაც ქმედება არსებითად აზიანებს ღირსებას, პირად ცხოვრებას ან რეპუტაციას. უცხოური გამოცდილება ამ მიმართულებით ვითარდება: გაერთიანებულმა სამეფომ 2025 წელს გამოაცხადა სექსუალურად აშკარა deepfake-ის შექმნის კრიმინალიზაციისკენ მიმართული პაკეტი; აშშ-ში Take It Down Act უკავშირდება არაკონსესუალური ინტიმური გამოსახულებებისა და deepfake-ების გავრცელების აკრძალვას და პლატფორმებისთვის წაშლის ვალდებულებას; სამხრეთ კორეამ კი 2024 წელს კიდევ უფრო მკაცრი მიდგომა აირჩია და სექსუალურად აშკარა deepfake მასალის ფლობაც/ნახვაც დასჯადად გამოაცხადა.¹²¹³¹⁴

მეორე, AI-ის გამოყენება შეიძლება დაემატოს არსებულ დანაშაულებს როგორც კვალიფიციური ან დამამძიმებელი გარემოება, როდესაც იგი ზრდის ზიანის მასშტაბს, მსხვერპლთა რაოდენობას,

⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XIX, მუხლები 108-114.

¹⁰ European Commission, *AI Act: Regulatory Framework for Artificial Intelligence*, Regulation (EU) 2024/1689.

¹¹ Council of Europe, *Framework Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law*, 2024.

¹² UK Government, “Government crackdown on explicit deepfakes”, 7 January 2025.

¹³ Skadden, “Take It Down Act Requires Online Platforms To Remove Unauthorized Intimate Images and Deepfakes”, 10 June 2025.

¹⁴ Reuters, “South Korea to criminalise watching or possessing sexually explicit deepfakes”, 26 September 2024.

ორგანიზებულობას ან გამოვლენის სირთულეს. ეს შეიძლება გავრცელდეს თაღლითობაზე, გამოძალვაზე, დოკუმენტის გაყალბებაზე, პირადი ცხოვრების ხელყოფაზე, საარჩევნო დანაშაულებზე, ყალბი მტკიცებულების შექმნაზე, უკანონო ბიომეტრიულ იდენტიფიკაციაზე და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მიმართ ჩადენილ ქმედებებზე. დამოუკიდებელი ახალი შემადგენლობა უნდა შეიქმნას მხოლოდ მაშინ, როდესაც მოქმედი ნორმები ვერ ფარავს ახალ საფრთხეს და სახეზეა მაღალი საზოგადოებრივი საფრთხე.

მესამე, საარჩევნო პროცესის, მართლმსაჯულების, ბიომეტრიული მეთვალყურეობისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის სფეროში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ მძიმე, განზრახი და მაღალი საფრთხის მქონე შემთხვევებისთვის. მაგალითად, AI-ით გენერირებული ყალბი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა შეიძლება შეფასდეს მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის დამამძიმებელ ფორმად, ხოლო რეალურ დროში ბიომეტრიული მეთვალყურეობის უკანონო გამოყენება სისხლის სამართლის სფეროში უნდა მოხდეს მხოლოდ მასობრივი, დისკრიმინაციული ან საჯარო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში. ყველა სხვა AI-დარღვევა უნდა დარჩეს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, მონაცემთა დაცვის ან სპეციალურ რეგულაციურ რეჟიმში.

დასკვნა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა უნდა დაეფუძნოს არა რეპრესიული პოლიტიკის გაფართოებას, არამედ სისხლის სამართლის როლის რაციონალიზაციას. სისხლის სამართალი სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში არ უნდა განიხილებოდეს როგორც სოციალური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური ან ადმინისტრაციული პრობლემების უნივერსალური გადაწყვეტის მექანიზმი. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს იძულებითი ძალაუფლების ყველაზე მკაცრ ფორმას და, შესაბამისად, მისი გამოყენება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დაცული სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა, ქმედების საზოგადოებრივი საფრთხე, ზიანის ხარისხი და ალტერნატიული მექანიზმების არასაკმარისობა ერთობლივად ამართლებს სისხლისსამართლებრივ ჩარევას. ამ თვალსაზრისით, *ultima ratio* პრინციპი უნდა იქცეს არა მხოლოდ თეორიულ დებულებად, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმირების პრაქტიკულ საზომად. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართლებრივი სიკეთის დაცვა სხვა - სამოქალაქო, ადმინისტრაციული, დისციპლინური, რეგულაციური ან აღდგენითი - მექანიზმებით შეუძლებელია ან აშკარად არასაკმარისია. ამგვარი მიდგომა იცავს როგორც ინდივიდის თავისუფლებას და ღირსებას, ისე თავად სისხლის სამართლის ავტორიტეტს, რადგან ზედმეტად ფართო კრიმინალიზაცია საბოლოოდ ამცირებს სისხლის სამართლის ლეგიტიმაციასა და ეფექტიანობას. ნაშრომში განვითარებული მსჯელობა აჩვენებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა უნდა წარმართოს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით. პირველ რიგში, აუცილებელია ნორმათა განსაზღვრულობის ხარისხის ამაღლება. სისხლის სამართლის ნორმა უნდა იყოს მკაფიო, წინასწარ განჭვრეტადი და სამართალშემფარდებლისთვის ერთგვაროვანი გამოყენების შესაძლებლობის მქონე. ისეთი შეფასებითი ტერმინები, მაგალითად როგორიცაა მძიმე შედეგი არ

უნდა დარჩეს განუსაზღვრელ ცნებებად, რომლებიც ფართო და არათანაბარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ქმნის. მათი არსებობა სისხლის სამართალში გარკვეულ შემთხვევებში გარდაუვალია, თუმცა აუცილებელია მათი განმარტება ან კანონმდებლობით, ან სტაბილური და თანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება თვითნებური სამართალშეფარდების, არაპროგნოზირებადი პასუხისმგებლობისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის დარღვევის საფრთხე.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა სანქციური სისტემის ჰარმონიზაცია. კოდექსის სანქციები უნდა შეფასდეს არა ცალკეული მუხლების იზოლირებული ანალიზით, არამედ ერთიანი სანქციური მატრიცის საფუძველზე. ერთნაირი ან არსებითად მსგავსი სიმძიმის ქმედებებს უნდა ჰქონდეთ შედარებით თანაზომადი სანქციები, ხოლო განსხვავებული საზოგადოებრივი საფრთხის მქონე ქმედებები ერთნაირი სიმკაცრით არ უნდა ისჯებოდეს. სანქციური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს სისტემურ კრიტერიუმებს: დაცული სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობას, ზიანის ან საფრთხის ხარისხს, ბრალეულობის ფორმას, ქმედების ჩადენის ხერხს, განმეორებითობას, ორგანიზებულობას, დაზარალებულის მოწყვლადობას და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის დაზიანების ხარისხს. მხოლოდ ამგვარი მიდგომით არის შესაძლებელი პროპორციული, თანმიმდევრული და სამართლიანი სანქციური სისტემის ჩამოყალიბება.

მესამე მიმართულებად უნდა განისაზღვროს მოძველებული თანხობრივი ზღვრების გადახედვა. კოდექსში არსებული ფიქსირებული თანხობრივი კრიტერიუმები, რომლებიც თავის დროზე შესაძლოა შეესაბამებოდა ეკონომიკურ რეალობას, დღეს შეიძლება აღარ გამოხატავდეს ქმედების რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას. 150 ლარზე მეტი ღირებულების ზიანის ავტომატურად „მნიშვნელოვან ზიანად“ მიჩნევა, განსაკუთრებით გაუფრთხილებლობითი ქმედებების კონტექსტში, ქმნის სისხლის სამართლის ზედმეტად ფართო გამოყენების საფრთხეს. ასევე პერიოდულ გადამოწმებას საჭიროებს ეკონომიკურ და საგადასახადო დანაშაულებში გამოყენებული თანხობრივი ზღვრები, მათ შორის გადასახადისათვის თავის არიდების კონტექსტში არსებული მაღალი ოდენობის კრიტერიუმები. ფიქსირებული თანხები დროთა განმავლობაში იცვლიან რეალურ მნიშვნელობას ინფლაციის, ფასების ზრდის, ხელფასების, ბიზნესბრუნვებისა და ლარის მსყიდველუნარიანობის ცვლილების ფონზე. ამიტომ მიზანშეწონილია თანხობრივი ზღვრების სისტემური აუდიტი და მათი დაკავშირება ობიექტურ ეკონომიკურ ინდიკატორებთან ან პერიოდული გადახედვის მექანიზმთან.

მეოთხე მიმართულებაა დეკრიმინალიზაციის გააზრებული და დიფერენცირებული პოლიტიკა. დეკრიმინალიზაცია არ გულისხმობს სამართლებრივი ვაკუუმის შექმნას ან დაზარალებულის ინტერესების უგულებელყოფას. იგი ნიშნავს სამართლებრივი რეაგირების სწორად შერჩევას. თუ ქმედება არ არის ძალადობრივი, არ იწვევს მაღალი ინტენსივობის ზიანს, არ უკავშირდება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საფრთხეს და დაზარალებულის დაცვა შესაძლებელია ზიანის ანაზღაურებით, ადმინისტრაციული სანქციით, მედიაციით ან სპეციალური რეგულაციური მექანიზმით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა გამოიყენებოდეს. ასეთ შემთხვევებში სისხლის სამართალი ზედმეტად მკაცრ და არაპროპორციულ ინსტრუმენტად

იქცევა. სწორედ ამიტომ, რეფორმის ფარგლებში მიზანშეწონილია შემუშავდეს „დეკრიმინალიზაციის ტესტი“, რომლის მიხედვითაც ყოველი შემადგენლობა შეფასდება სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობის, ზიანის ხარისხის, ალტერნატიული პასუხისმგებლობის ეფექტიანობის, ნასამართლობის სოციალური შედეგის და გამოძიებისა და სასამართლოს რესურსის პროპორციულობის მიხედვით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კოდექსის ტექნიკური გამარტივებაც. წლების განმავლობაში მრავალჯერ შეცვლილ კოდექსში შესაძლოა დაგროვდეს დუბლირებული, გადაფარული ან სტრუქტურულად არათანაბრად განლაგებული ნორმები. ამიტომ რეფორმა უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ცალკეული სანქციების კორექტირებას, არამედ კოდექსის შიდა არქიტექტურის გადახედვასაც. ერთსა და იმავე სამართლებრივ სიკეთესთან დაკავშირებული, მაგრამ განსხვავებული შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებებით გამოყოფილი მუხლები შესაძლებელია დაჯგუფდეს უფრო ლოგიკურ და გამჭვირვალე სტრუქტურაში. მაგალითად, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობების ერთიან ნორმატიულ ჯგუფში მოქცევა ხელს შეუწყობდა კოდექსის სისტემურობას, კვალიფიკაციის გამარტივებას და სანქციური თანაზომიერების გაძლიერებას. ასეთი მიდგომა არ ნიშნავს კონკრეტული შემადგენლობების დოგმატური სპეციფიკის გაუქმებას; პირიქით, ის გულისხმობს მათ უფრო მკაფიო, ერთიან და სამართალშემფარდებლისთვის აღქმად სტრუქტურაში განთავსებას.

ხელოვნური ინტელექტის განვითარება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისთვის ახალი და კომპლექსური გამოწვევაა. AI-ის საშუალებით შესაძლებელია ხმის, გამოსახულების, ვიდეოს, ტექსტის, დოკუმენტის, იდენტობისა და გადაწყვეტილების პროცესის იმგვარი სიმულაცია, რომელიც ტრადიციულ სამართლებრივ კატეგორიებს ყოველთვის მარტივად არ ერგება. თუმცა ტექნოლოგიური განვითარების ფონზე სისხლის სამართლის გაფართოება არ უნდა ეფუძნებოდეს ტექნოლოგიურ პანიკას. ყოველი ახალი რისკი ავტომატურად არ უნდა იქცეს ახალ დანაშაულად. AI-ის გამოყენებით ჩადენილი ქმედებები უნდა შეფასდეს მათი რეალური ზიანის, განზრახვის, მასშტაბის, მსხვერპლთა რაოდენობის, ფუნდამენტურ უფლებებზე ზემოქმედებისა და საზოგადოებრივი საფრთხის ხარისხის მიხედვით.

დამოუკიდებელი ახალი დანაშაულების შემოღება გამართლებულია მხოლოდ იმ სფეროებში, სადაც მოქმედი ნორმები აშკარად ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ღირსების, პირადი ცხოვრების, იდენტობის, არჩევნების სანდოობის, მართლმსაჯულების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ეფექტიან დაცვას. ასეთ სფეროებად შეიძლება განიხილებოდეს პირის თანხმობის გარეშე სინთეზური ინტიმური გამოსახულების შექმნა ან გავრცელება, AI-ის გამოყენებით პირის იდენტობის უკანონო მითვისება, ხელოვნურად შექმნილი მტკიცებულებით მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანა, საარჩევნო პროცესის მანიპულაცია და კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ AI სისტემის განზრახ გამოყენება. თუმცა სხვა შემთხვევებში უფრო პროპორციულია არსებული დანაშაულების შემადგენლობებში კვალიფიციური ნიშნების დამატება ან ადმინისტრაციულ-რეგულაციური ჩარჩოს გაძლიერება. მაგალითად, AI-ის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად თაღლითობის, გამოძალვის, დოკუმენტის გაყალბების, პირადი ცხოვრების ხელყოფის ან კომპიუტერული დანაშაულების შემთხვევაში, თუ იგი ზრდის დანაშაულის მასშტაბს, ორგანიზებულობას ან გამოვლენის სირთულეს. ამასთანავე, AI შეიძლება

გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ როგორც რეგულირების ობიექტი, არამედ როგორც რეფორმის დამხმარე ანალიტიკური ინსტრუმენტიც. შესაბამისი გარანტიების პირობებში ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ანალიტიკური მოდელები შეიძლება დაეხმაროს კანონმდებელს კოდექსის ნორმატიული რუკის შექმნაში, დუბლირებული ნორმების აღმოჩენაში, სანქციების არაპროპორციულობის გამოვლენაში, მსგავსი შემადგენლობების შედარებაში და მოძველებული თანხობრივი ზღვრების ანალიზში. თუმცა ასეთი სისტემა არ უნდა იქცეს სამართლებრივი გადაწყვეტილების ავტომატურ წყაროდ. სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრა მოითხოვს ადამიანის მიერ ნორმატიულ, კონსტიტუციურ და ღირებულებით შეფასებას. AI-ის როლი უნდა იყოს დამხმარე, გამჭვირვალე, ახსნადი და ადამიანის კონტროლს დაქვემდებარებული. საბოლოოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის მთავარი ამოცანა უნდა იყოს სისხლის სამართლის სისტემის გამარტივება, გამჭვირვალობა, პროპორციულობა და ადამიანის უფლებებთან შესაბამისობა. კოდექსი უნდა გახდეს უფრო მკაფიო, შიდა ლოგიკით თანმიმდევრული და თანამედროვე გამოწვევებზე მორგებული. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია *ultima ratio* პრინციპის რეალური დანერგვა, ნორმათა განსაზღვრულობის ამაღლება, სანქციური სისტემის ჰარმონიზაცია, მოძველებული ეკონომიკური ზღვრების გადახედვა, დაბალი საზოგადოებრივი საფრთხის მქონე ქმედებების დეკრიმინალიზაცია და AI-ის რისკების დიფერენცირებული რეგულირება. სწორედ ასეთი მიდგომა შექმნის სისხლის სამართლის კოდექსს, რომელიც ერთდროულად დაიცავს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, დაზარალებულის ინტერესებს, ადამიანის თავისუფლებას, ღირსებასა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებს.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
2. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
3. Husak, D. (2008). *Overcriminalization: The Limits of the Criminal Law*. Oxford University Press.
4. European Court of Human Rights, *Kokkinakis v. Greece*, Application no. 14307/88, Judgment of 25 May 1993.
5. Sentencing Council for England and Wales, *General Guideline: Overarching Principles*.
6. European Commission, *AI Act: Regulatory Framework for Artificial Intelligence*, Regulation (EU) 2024/1689.
7. Council of Europe, *Framework Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law*, 2024.
8. UK Government, *Government crackdown on explicit deepfakes*, 2025.
9. Skadden, *Take It Down Act Requires Online Platforms To Remove Unauthorized Intimate Images and Deepfakes*, 2025.
10. Reuters, *South Korea to criminalise watching or possessing sexually explicit deepfakes*, 2024.
11. National Statistics Office of Georgia, *Consumer Price Index (Inflation)*.